

## 9. ნიადაგების გამკვრივების აცილება და მინიმიზირება

ნიადაგის გამკვრივება არის ნიადაგის სტრუქტურის დეგრადირება, განპირობებული დარჩენილი დამაბულობებით/დაჭიმვით, გამოწვეული სასოფლო სამეურნეო ტექნიკით და სოფლის მეურნეობის ცხოველთა მიერ გათელვით/გაჯეკვით. ნიადაგის გამკვრივება (ფორიანობის შემცირება, ან დარღვევა/დაშლა) ამცირებს ნიადაგის აერაციას, ანგრევს ნიადაგის აგრეგატებს და არღვევს მაკრო ფორების სიმკვრივეს, წინააღმდეგობას უწევს სადრენაჟო ჩანადენს და წყლის ჩაჟონვას. გამკვრივება ზღუდავს ფესვთა განვითარებას და თესლის აღმოცენებას მექანიკური წინააღმდეგობით, ნეგატიურად აისახება ნიადაგის ბიომრავალფეროვნებაზე და ნიადაგის ზედაპირზე წარმოქმნის ქერქს.

- საჭიროა ნიადაგების სტრუქტურის გაუარესების აცილება ნიადაგების არასწორი, ან მეტისმეტი მექანიკური დამუშავების გამო
- საჭიროა ტრანსპორტის მოძრაობის მინიმუმამდე დაყვანა, (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის აბსოლუტურად აუცილებელია) განსაკუთრებით მოსპობილი მცენარეული საფარის ნიადაგებზე მოძრაობა, ოპერაციების რაოდენობის და სიხშირის შემცირება, მოძრაობის რეგულირების სისტემის შექმნა და სასოფლო სამეურნეო/სატყეო სამეურნეო ოპერაციების

ჩატარება მხოლოდ ნიადაგის ტენის საკმაო სიღრმეზე არსებობისას.

- მინდვრად გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებები და სასოფლო სამეურნეო ტექნიკა ადაპტირებული უნდა იყოს ნიადაგის მყარი/გამძლე მახასიათებლების მიმართ და სალტებში წნევის კონტროლის სისტემებით მოწყობილნი, ან ზედაპირზე (საკონტაქტო ფართობი) წნევის შესამცირებელი სხვა საშუალებებით., მძიმე ტექნიკის გამოყენებას უნდა მოვერიდოთ. სატყეო სამეურნეო ოპერაციების დროს საჭიროა შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობა (მაგალითად, მოძრაობის რეგულირებით) და გამოვიყენოთ ფიჩხკონები ნიადაგის ფიზიკური დაზიანებისაგან დასაცავად; სასოფლო სამეურნეო ოპერაციების დროს საჭიროა დაწესდეს მოძრაობის რეგულირება და შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყოს და აღინიშნოს სამარშრუტო სავალი გზები.
- საჭიროა შეირჩეს მიწათმოქმედების ისეთი სისტემები, რომლებშიც ჩართული იქნება სასოფლო სამეურნეო კულტურები, საძოვრების მცენარეულობა და იქ სადაც მიზანშეწონილია ხეები და ბუჩქნარები ძლიერი ფესვიანი ღეროებით (ხშირი ფუნჯა ფესვებიანი სისტემებით), რომელთაც აქვთ უნარი შეაღწიონ გამკვრივებულ ნიადაგში და გააფხვიერონ ის.
- საჭიროა ხელი შეეწყოს ნიადაგის სტრუქტურის საკმარისად გაუმჯობესებას და სტაბილიზირებას, ნიადაგში ორგანული ნივთიერებების დაგროვებას.

- საჭიროა ხელი შეეწყოს მაკროფაუნის და მიკროფაუნის (განსაკუთრებით სოკოების) გააქტიურებას, რომლებიც აუმჯობესებენ ნიადაგის ფორიანობას და ამით უმჯობესდება ნიადაგის აერაცია, წყლის ჩაჟონვა, სითბოგამტარიანობა და ფესვთა ზრდა.
- საძოვარი სისტემების არჩევისას, საჭიროა ხელი შეეწყოს ადგილობრივ მზარდი მცენარეებისაგან საკმარის საძოვარ საფარს, რომლებიც ნიადაგს იცავენ გატკეპნისაგან/გაჯეკვისაგან და ეროზიისაგან; მეცხოველეობის ორგანიზებისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას ძოვები ვადები, ცხოველთა ტიპები და სულადობის სიმჭიდროვე ფართობის ერთეულზე.